

## თებერვალი, 2025 კლიმატური დახასიათება

თებერვლის თვის დასაწყისში ამინდს საქართველოში, ძირითადად, განაპირობებდა მაღალი წნევის არე და მასთან დაკავშირებული უნალექო პირობები. თვის შუა რიცხვებამდე ადგილი ჰქონდა შავი ზღვის აკვატორიაში განვითარებული მაღლივი ციკლონის ზემოქმედებას გადაბმულად მცირენალექიანი დღეებით. შემდგომ, თვის ბოლომდე ინტენსიურად ვრცელდებოდა არქტიკული ცივი ჰაერის მასები, რასაც თან ახლდა ტემპერატურის მკვეთრი დაცემა და ხანგრძლივი ნალექიანი ეპიზოდები დიდთოვლობით.

ტემპერატურული რეჟიმის მიხედვით, ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე თებერვალი საკმაოდ ცივი იყო. მრავალწლიურ ჭრილში, დაწყებული 1956 წლიდან, უკანასკნელ 70-წლიან პერიოდში ეს იყო რიგით 22-ე, ხოლო 2012 წლის შემდეგ - ყველაზე ცივი თებერვალი (ნახ.2).

მიწისპირა ატმოსფერული ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ნორმაზე დაბალი იყო (ნახ.1). ტემპერატურის გადახრამ მრავალწლიური ნორმიდან საშუალოდ  $-1.5^{\circ}\text{C}$  შეადგინა, უდიდესი უარყოფითი გადახრებით ( $-2.0$ ,  $-2.6^{\circ}\text{C}$ ) დასავლეთ საქართველოში: აჭარა-გურიასა და კოლხეთის დაბლობზე, აღმოსავლეთში: კახეთში და მცხეთა-მთიანეთში. აღსანიშნავია, რომ ტემპერატურის დადებითი ანომალიები ქვეყნის ფარგლებში არ დაფიქსირებულა.

თებერვლის თვის საშუალო ტემპერატურა შავი ზღვის სანაპიროსა და კოლხეთის დაბლობზე  $+4$ ,  $+6^{\circ}\text{C}$ , დასავლეთის მთიან რაიონებში და აღმოსავლეთის ვაკე ტერიტორიაზე  $0$ ,  $+4^{\circ}\text{C}$  აღმოსავლეთის მთიან ნაწილში  $-3$ ,  $0^{\circ}\text{C}$ -ის, ხოლო სამხრეთ საქართველოს მაღალმთიან რაიონებში  $-8$ ,  $-4^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში აღინიშნა.

ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმები ქვეყნის ფარგლებში თვის პირველ ან შუა რიცხვებში (1-3 ან 15-17 თებერვალი) დაფიქსირდა. მრავალწლიური სიდიდეების გადაფარვას თებერვლის თვეში ადგილი არ ჰქონია. ტემპერატურამ ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს  $+16$ ,  $+19^{\circ}\text{C}$  შავი ზღვის სანაპირო ზოლში მიაღწია.

თებერვალში ყველაზე დაბალი ტემპერატურები, ძირითადად, თვის ბოლო დეკადაში დაიკვირვებოდა, როდესაც ქვეყნის ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა სიცივის ტალღის გავრცელებას და როდესაც აბს. მინიმუმები მთაში  $-11$ ,  $-17^{\circ}\text{C}$ -მდე, ხოლო მაღალმთიან ზონაში  $-18$ ,  $-24^{\circ}\text{C}$ -მდე დაეცა. მრავალწლიური სიდიდეების გადაფარვას თებერვლის თვეში, არც მინიმუმების შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია.

ნალექების რაოდენობის მიხედვით, თებერვლის თვე ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე ნორმაზე საკმაოდ მაღალი ნალექიანობით ხასიათდებოდა. მრავალწლიურ ჭრილში, დაწყებული 1956 წლიდან, ეს იყო რიგით მე-12, ხოლო 2011 წლის შემდეგ - რიგით მე-2 ყველაზე ნალექიანი თებერვალი (ნახ.2).


ყველაზე მომატებული ნალექიანობა აღინიშნა შავი ზღვის სანაპირო ზოლში და კოლხეთის დაბლობზე, სადაც ნალექების თვის ჯამები ნორმალურ მნიშვნელობებს 70-120%-ით აღემატებოდა. ნალექების მაქსიმალური რაოდენობა (300-400 მმ) აჭარა-გურიაში მოვიდა, ხოლო კლიმატური ნორმის მახლობელი (მრავალწლიური საშუალო მნიშვნელობის 80-90%-მდე) რაოდენობები ქვეყნის სამხრეთ ნაწილში: სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის ცალკეულ რაიონებში დაიკვირვებოდა. აღსანიშნავია, რომ ნალექების უარყოფითი ანომალიები (კლიმატური ნორმის 80%-ზე ნაკლები) ქვეყნის ფარგლებში არ დაფიქსირებულა.

როგორც ჩანს, მიმდინარე წლის თებერვლის თვეში ნორმაზე მაღალი ნალექიანობა საქართველოში განპირობებული იყო ძირითადად, ნალექიან დღეთა სიხშირით, მათ შორის, ხანგრძლივი გადაბმულად ნალექიანი პერიოდებით (სანაპირო რაიონებში 10 დღემდე). ამასთან, აღინიშნა უხვნალექიანი ეპიზოდებიც, როდესაც დღე-ღამეში თოვლის სახით თვის ნორმის 40-60% ნალექი მოვიდა.


18 თებერვილიდან 28 თებერვლამდე სახიფათო მეტეოროლოგიური მოვლენების კატეგორიის თოვლის სახით მოსული უხვი ატმოსფერული ნალექები აღინიშნა ქვეყნის უმეტეს რაიონში. განსაკუთრებით ძლიერი ინტენსივობის თოვა დაფიქსირდა ქვეყნის დასავლეთ ნაწილში: აჭარა-გურიასა და იმერეთის ზოგიერთ რაიონში. კერძოდ, ქობულეთში 18-27 თებერვალს მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობამ (165 მმ) თვის ნორმას 70%-ით გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ 24 თებერვალს ბათუმში ძლიერ თოვას თან ახლდა ქარბუქი, ხოლო 26 თებერვალს რიკოთის უღელტეხილზე ადგილი ჰქონდა თოვლის ზვავის ჩამოსვლას. 24-28 თებერვლის პერიოდში თოვლის საფარის სიმაღლემ 3 მეტრს გადააჭარბა ხულოში, 175 სმ-ს მიაღწია

ჩოხატაურში, 170 სმ-ს - ქედაში, 125 სმ-ს - ზესტაფონში, ნახევარ მეტრს გადააჭარბა ქუთაისში (62 სმ) და ქობულეთში (55 სმ).

აჭარა-გურიაში, იმერეთსა და სამეგრელოში, ადგილობრივი მასმედიის ცნობით, თოვლის მაღალმა საფარმა დააზიანა საცხოვრებელი სახლის სახურავები, მათ შორის ზოგი ჩამოინგრა. დაზიანდა ინფრასტრუქტურა, ელექტროგადამცემი ხაზები და გაზის მილსადენები. პრობლემები იყო ელექტროენერჯის მიწოდების კუთხით. დიდთოვლობის პერიოდში გურიასა და იმერეთში სოფლების ნაწილი მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს. რთული მეტეოროლოგიური პირობების (თოვა, ყინვა, შეზღუდული ხილვადობა) გამო, ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე შეფერხებები იყო საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ცალკეულ მონაკვეთებზე, ზოგან შეიზღუდა ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა, შეჩერდა სარკინიგზო მიმოსვლა. უამინდობის გამო, დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში სკოლებსა და ბაღებში შეწყვეტილი იყო სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი. იყო ადამიანური მსხვერპლი, სახლის სახურავის გადათოვლისას ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დაიღუპა ერთი ადამიანი.



ნახ.1. თებერვლის თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურის ანომალიები საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში



ნახ.2. ატმ. ნალექების თებერვლის თვის ჯამების ანომალიები პროცენტებში საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში